

II სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20) ქულა

11. რამდენი რთული სიტყვა ანუ კომპოზიტია წინადადებაში?

*„ დედაენით“ გაზარდეს, მეგრულ იავნანურით,
ავთანდილის ანდერძით, ცოტნეს ცხენის თქარუნით.“*
ა) ორი ბ) ხუთი გ) ოთხი

12. რომელ წინადადებაში არაა სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?

ა) ოცდა ათი სტუდენტი ჩაირიცხა უნივერსიტეტში.
ბ) 65-ე ავენიუზე ვცხოვრობდით ერთ დროს.
გ) III ოთახი ყველაზე ნათელი იყო.

13. როგორი სიტყვებია: „ხანმოკლე და ხანგრძლივი“?

ა) მსგავსი მნიშვნელობის ბ) ერთნაირი სიტყვები გ) საპირისპირო მნიშვნელობის

14. რომელ დროშია მოქმედება წინადადებაში?

„წვალობდა დათვი, გამწარებული ბურდღუნებდა, იღრინებოდა.“
ა) ახლანდელ დროში
ბ) წარსულ დროში
გ) მომავალ დროში

15. რომელია მოქმედების გამომხატველი სიტყვა?

ა) ზის ბ) ვარჯიშობს გ) ფრთხილად

III სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40) ქულა

16. რამდენი სულიერი და რამდენი უსულო სახელია გამოყენებული წინადადებაში?

„ კარი გაიღო და დაღვრემილი მინდიაშვილი შემოვიდა.“
ა) ერთი სულიერი და ორი უსულო ბ) ორი უსულო და ორი სულიერი
გ) ერთი უსულო და ერთი სულიერი

17. რომელია ანდაზა?

ა) „წესიერება მუდამ დასაფასებელია.“
ბ) „კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო.“
გ) „ ჩვენი მეგობრობა არასოდეს გაფერმკრთალდება.“

18. ხაზგასმული სიტყვები თანმიმდევრობითა და სწორად შეცვალეთ შესაბამისი ანტონიმებით:

*„ ცივა, მოწყენილობა... ირგვლივ სიჩუმეა... მყუდროებას არ არღვევს არც ერთი სულიერი...
ფოთლებიც განაბულან...“*
ა) მრავალი, სულიერი, სიხარულია, თბილა
ბ) მხიარულებაა, სითბოა, მრავალი ცოცხალი
გ) ცხელა, მხიარულებაა, ყველა, უსულო

19. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვი შესაფერისი ზმნა:

„პატარა ნიკოლოზი სიცილით კვდებოდა, მის სიცილზე კი უფროსები ...“
ა) კვდებოდა ბ) იხოცებოდნენ გ) იხოცებოდა

20. რომელია სწორად დაწერილი რთული სიტყვა ანუ კომპოზიტი?

ა) წარბ-შეხრილი ბ) ფარ-ხმალი გ) თავ-გაპარსული

21. როგორ გესმით გამოთქმა: გული გადაუქანდა?
 ა) შეეშინდა ბ) მოკვდა გ) დაეცა
22. რომელია პირის ნაცვალსახელები?
 ა) ეს, ის ბ) ჩემი, შენი გ) შენ, თქვენ
23. რომელ ბრუნვაშია სიტყვები: ტყემ, მთამ, ცამ?
 ა) მოთხრობითში ბ) ვითარებითში გ) ნათესაობითში
24. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში?
„ ბრძენნი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა.“
 ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) მიცემითში
25. რას ნიშნავს მხატვრული გამონათქვამი ანუ ფრაზეოლოგიზმი:
„ დედის გულმა დაიკვნესა“?
 ა) დედის გაოცებას ბ) დედის წუხილს გ) დედის სიხარულს

ბონუს-სავარჯიშო:

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

1. არსებით სახელს აქვს:
 ა) მხოლოდითი რიცხვი
 ბ) მრავლობითი რიცხვი
 გ) მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვი
2. რომელი არ არის ზედსართავი სახელი:
 ა) სოფელი ბ) პატარა გ) დიდი
3. სწორად დაწერილი რიცხვითი სახელია:
 ა) 5-ე ბ) მე-2-ე გ) ორასი
4. ზმნას აქვს :
 ა) სამი პირი ბ) ორი პირი გ) ერთი პირი
5. ქართულ ენაში გვაქვს:
 ა) შვიდი ბრუნვა ბ) ხუთი ბრუნვა გ) ოთხი ბრუნვა